# სახალხო გაზეთი

№ 980 ხუთშაბათი, 29 აგვისტო 1913 წ. № 980

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


**დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 31 აგვისტოს.**


### სახალხო გაზეთი

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **3 მან.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.


## ,,სახალხო გაზეთის'' რედაქცია

აუწყებს საზოგადოებას, რომ

დღეს, 29 აგვისტოს, მთაწმინდის ტაძარში გადახდილი იქნება ექვსი წლის თავის წირვა და პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის

# ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება **დილის 10 საათზე**, პანაშვიდი შუადღის **12 ს.**, პარასკევს, 30 აგვისტოს, გადახდილი იქნება პანაშვიდი **წიწამურში**, იმ ადგილას, სადაც ილია ვერაგულად იქმნა მოკლული.

---

**ექიმი იასონ ისიდორეს ძე ყორდანია, თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე მეუღლით კნეინა მარიამ ირაკლის ასულით და შვილით ჯუმბერით** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 აგვისტოს, ქ. ქუთაისში უდროვოდ გარდაიცვალა პირველის—მეუღლე, მეორეთა—ასული და უკანასკნელის—დაუვიწყარი და

## ნატალია დავითის ასული ყორდანიასი.

ცხედრის გამოსვენება თ-დ ნიჟარაძის ბინიდან (ინჟინერნი ქუჩა) და დაკრძალვა მოხდება 29 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე **ქ. ქუთაისში.** 1442

---

**ნინო ივანეს ასული და ზაქარია ალექსანდრეს ძე მალალაშვილები და რძალი ქეთევან ლონონაშვილი შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 აგვისტოს გარდაიცვალა პირველისა—დედა, მეორისა სიდედრი და უკანასკნელისა—დაუვიწყარი მული

## მართა სოლომონის ასული მამუჩაშვილისა.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, არწრუნის ქუჩა, სახლი № 30. გამოსვენება შაბათს, 31 აგვისტოს, დილის 10-ნახევარ საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 581

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606''და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

# პ. ს. დოროფეევის

## მაღაზიებში

სოლოლაკის ქ. სახლი გურგენიძისა, ტელეფ. 533, მიხეილის ქ. სახლი ლოთრანგთა ეკლესიისა, ტელეფ. 858.

მიღებულია დიდძალი საქონელი ფირმის ტანისამოსისა

**ვაჟთა და ქალთა სასწავლებლებისათვის.**

**ვომავალ სეზონისათვის: „შემოდგომა და ზამთარი“ ყველა განყოფილებაში**

აბრეშუმისა და მატყლის ქსოვილები,
მაუდი, დრაფი და ტრიკო
ტილო და სუფრები
ფერადი ბამბის ქსოვილები

მზა საცვლები, ქალისა და ვაჟისა
ტრიკოს ხელნაქნარი
სადგამო ქსოვილები
ტიული და ფარდები,

**ნოხები, ქეჩა-გზები, საბნები, ცხვირსახოცები.**

ყოველ-დღე მოგვდის თვით უკანასკნელი გემოს

## ს ა ქ ო ნ ე ლ ი

---

**გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში**
**ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული**

## ვ ე ფ ხ ვ ი ნ ი

**ფასი ერთი მანეთი**

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

---

## ტფ. ქართული ფილარმონიული საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან** ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამ. 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სპეციალურ საგნებზე მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—**ბ. მ. ამირაჯიბისა, თ. მ. ბერგი პიგოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, გ. მ. ქიქოძე, ე. ვ. ფოგელისა** და **თ. ს. შაბუროვისა.** სკრიპკაზე: **მ. ტ. ვასილიევი.** ვიოლონჩელი—**ე. ნ. კაპელნიცკი.** კონტრაბასი—**მ. ი. შერშოვი,** სიმღერა, solo (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) **ნ. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა** და **ე. ბროჯი.** ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო (ნოტების კითხვა) ჰარმონია და ენციკლოპედია—**ზაქ. პ. ფალიაშვილი,** ხოროს კლასსი—**ზ. ი. ჩხიკვაძე.** ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტეპიანოზე **ე. ი. პოლტარაცკისა** და სკრიპკაზე, **ვ. მ. ბროდსკი.** სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი 65 მ. წელიწადში, სკრიპკა,—65 და 75 მან. ვიოლონჩელი 65 მ. კონტრაბასი 50 მ., სიმღერა (solo) 75 მ. თეორიის კლასებში 15 მ. წელიწადში.

სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარ წლობით წინდაწ. ნ. ხმების გასინჯვა საეკლესიო გუნდში შესასვლელად დანიშნულია ორშაბ. და ხუთშაბათ საღ. 5—7 ს. **პარაკლისი და სწავლის დაწყება დანიშ.** 1 სექტემ., შუადღ 12½ ს. 1429

---

**„ტფილის. ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი“**
(შედგენილი და დაარსებული 1910 წ).

## მ ი ხ ე ი ლ კ ა ვ ს ა ძ ი ს

**ლოტბარობით,**

რომელიც შემდგარია 25—50 კაცისაგან საკუთარ ქულაჯებით და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი, აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ გუნდი 1 ენკენისთვიდან განაგრძობს მოქმედებას, ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ და ევროპიულ სიმღერებს, ,,სოლო''-ებს, ,,დუეტ''-ებს, ,,ტრიო''-ებს, ქართლ-კახურ ეკლესიურ გალობას **,,ოქროპირის წირვას'';** იღებს მონაწილეობას კონცერტებში, სამუსიკო ცილა-საღამოებზე, წარმოდგენებზე, სასიმღერო პიესებში და სხვაგან, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდი ასრულებს აგრეთვე პატარ-პატარა სცენებს სიმღერებით სოფლის ცხოვრებიდან და სხვა. კვირა-უქმე დღეებში გუნდი **გალობს ანჩისხატისა** და **კალოუბნის** ეკლესიებში. გუნდის მიწვევა და ახალ მომღერლების მიღება იკითხეთ **მიხეილ კავსაძესთან.** 1447

---

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბ რათაშვილის ლექსები | 40 კ. | ორბელიანი გრ. ლექსები, | 20 ,, |
| ბაჩანა დიაკვნიანი | 20 ,, | ,, ვახტანგი, | 60 ,, |
| ბესიკი. ლექსები, სიტყ.-კაზ. გამოც | 1 მ. | ,, ნინო, | 30 ,, |
| განდეგილი. ლექსები, | 50 ,, | რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა ერეკლე მეფისა, | 15 ,, |
| გრიშაშვილი ოცნების კოცნა, | 10 ,, | სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1, | 20 ,, |
| გურამიშვილი. დავითიანი | 1 მ. | ,, ცხოვრ. სურათები, № 2, | 20 ,, |
| დუტუ მეგრელი, | 70 ,, | ,, ალსარება, № 3, | 5 ,, |
| ,, მწარე ფიქრები, | 20 ,, | ,, ლექსები 1879—1891 | 50 ,, |
| ევდოშვილი. | 60 ,, | ,, სიმები, | 5 ,, |
| ერისთავი რაფ, ტ. 1-ლი, | 1 მ. | ქართ. პოეტ. რჩეულ. ლექსები, | 25 ,, |
| ,, ტ. 2-ე, | 40 ,, | ჩიხრუხაძე. ქნარი, | 20 ,, |
| ვეფხის ტყაოსანი, | 60 ,, | შანშიაშვილი. შვების თავადი, | 60 ,, |
| ვაჟა-ფშაველა, | 1 მ. | ,, ქება-ქებათა და სულამიტ. | 10 ,, |
| ,, ახუნდი, | 5 ,, | ცის-სარტყელა, სალიტ. კრებული, | 15 ,, |
| ,, ბახტრიონი, | 20 ,, | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ბელიაევი.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოგუსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**თბუაიშვილი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ლიმონი.** კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

**ხანდამოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**აბგლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ვატენიანცი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 3—3½ ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ხ. საათ.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გამაკოვი.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა ,,606''-ით** 1035

---

**კ ბ ი ლ ი ს**

**ექიმი ა. ბ. ხოლოდაშვილი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

---

**ელექტრონის და რენტგენის**
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

---

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის ავადმყ.;** **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, სადგოსტო. განყოფ. პირდაპირ. 102

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

---

## ახალი წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა**

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

## უდიდესი წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიის შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიის სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

---

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **,,მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

## განქორწინების საქმეებს ვაწარმოებ

ცოდნით, კეთილსინიდისიერად და დაწვრილებით, დარიგებას ვაწვდი, აგრეთვე შემდეგ საქმეების შესახებ: **შვილობილობისა და დაკანონებისა, პენსიისა, ერთდროულ დახმარებისა, საპატიო მოქალაქისა და აზნაურობის უპირატესობათა შუამდგომლობას,** ვადგენ სხვა და სხვა ხასიათის თხოვნებსა და საქმის ქაღალდებს, ვკისრულობ **საბეჭდავ მანქანით გადაწერვას.** მიღება ყოველ დღე დილის 10-დან 2 ს.-დე და საღამოს 5-დან 7 ს.-დე.

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. 118, პირველ სართულში. 1438

# ტფილისი, 29 აგვისტო

**მეფის მოადგილის უქვეშევრდომილესი მოხსენება.** გაზეთებმა ჯერჯერობით მხოლოდ მოხსენების ზოგიერთი ადგილები გამოაქვეყნეს, მაგრამ ეს მცირეოდენი ადგილებიც საკმაო მასალას იძლევა იმის გამოსარკვევად, თუ რანაირი შეხედულებისაა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიისა და კავკასიელების შესახებ. ამ ახალ მოხსენებაში არის ბევრი რამ ისეთი, რასაც წინანდელ მოხსენებებშიაც შეხვდება ადამიანი. გრაფი კვლავ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კავკასიის არც ერთს ერში სურვილი სეპარატიზმისა, ანუ რუსეთის სახელმწიფოსაგან გამოყოფვისა, გამოცალკევებისა, არ არსებობს. კვლავ იმეორებს, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს რეფორმების შემოღება და სხვა. ახალი და ამასთანავე ფრიად საინტერესო ამ მოხსენებაში ის არის, რომ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ცენტრალურ მთავრობას უსაყვედურებს, რეფორმების განხორციელების საქმეში წინ მეღობებიო. მეფის მოადგილეს საჭიროდ მიაჩნია, თანამდებობა მეფის მოადგილისა კვლავ ხელუხლებელი დარჩეს, მიუხედავად იმისა, ვორონცოვ-დაშკოვი იქნება მეფის მოადგილედ, თუ სხვა ვინმე. უმთავრესი გასამართლებელი საბუთი მეფის მოადგილობის დარჩენისა ის არის, რომ სხვა თანამდებობის პირს, გენერალ-გუბერნატორს ან მთავარ-მართებელს, ძალიან გაუჭირდება რეფორმების მოხდენა, რადგანაც არავითარი ძალა და გავლენა არ ექნება ცენტრალურ მთავრობაზე. „თუ მე,—სწერს ვორონცოვ-დაშკოვი,—მეფის მოადგილის უფლებით აღჭურვილი, უფლებით მინისტრზე მაღლა მდგომი თუ არა, იმათი ტოლი მაინც, იძულებული ვხდებოდი, რეფორმების მოხდენის დროს, ენერგიული ბრძოლა გამეწია ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენლებთან, რა უნდა ჰქნას იმ პირმა, რომელიც პირდაპირ დამორჩილებული ეყოლება შინაგან საქმეთა სამინისტროს?“

როგორც ჰხედავთ, მეფის მოადგილე ცხად უკმაყოფილებას უცხადებს ცენტრალურ მთავრობას და მეფის მოადგილის თანამდებობის შენახვა საჭიროდ მიაჩნია ცენტრალურ მთავრობის ჟინიანობის გასანელებლად. ეს ახალი ნოტაა მეფის მოადგილის მოხსენებაში.

უმაღლეს ბიუროკრატიისთვის სრულიად არა ჩვეულებრივია ის გარემოებაც, რომ უმაღლესი მისი წარმომადგენელი გულ-ახდილად აღიარებს ცენტრალურ მთავრობის შეცდომებს პოლიტიკურ პროცესების წარმოების საქმეში. „დაშნაკციუტუნის“ პარტიის პროცესი ჩემდა დაუკითხავად და ჩემი სურვილის წინააღმდეგ დაიწყეს ცენტრიდან და სამარცხვინოდ კი დასრულდა იგი, უსაყვედურებს მეფის მოადგილე ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენლებს.

არის კიდევ ერთი ადგილი მოხსენებაში, რომელზედაც გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. არ არსებობს კავკასიის კერძო ერთა სეპარატიზმი, ამასთანავე ერთად არ არსებობს საერთოდ კავკასიური სეპარატიზმიც, რადგანაც კავკასიაში ძლიერია ნაციონალური ბრძოლა. ერთმანეთში ეს ერები რიგდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს რუსული სახელმწიფოებრივი ძალა. ეს რომ არ იყოს, უთანხმოება სისხლის ღვრამდე მივიდოდაო. ეს გარემოება საუკეთესო თავმდებია იმისი, რომ საერთო კავკასიური სეპარატიზმი არასოდეს არ დაიბადება.

მეფის მოადგილე აღნიშნავს, რომ რუსულმა სკოლამ დიდი სიმპატია დაიმსახურა ადგილობრივ მცხოვრებლებში. რეფორმების შემოღებაც საჭიროდ მიაჩნია, რადგანაც ეს რეფორმები უფრო დაუკავშირებს კავკასიას რუსეთს და უფრო ადვილად შეიტანს რუსულ კულტურას ადგილობრივ ერებში. გადმოსახლების პოლიტიკაშიაც მეფის მოადგილე ძველს პრინციპს ადგია და დარწმუნებულია, რომ ამ პოლიტიკის შემწეობით უფრო ადვილად განახორციელებს რუსულ სახელმწიფოებრივ იდეას.

როგორც ჰხედავთ, არსებითად მეფის მოადგილის მიზანი არაფრით არ განსხვავდება ცენტრალურ მთავრობის მიზნისაგან. იმასაც ჰსურს, კავკასია რაც შეიძლება მკვიდრად ორგანიულად დაუკავშირდეს რუსეთს, იმასაც ჰსურს, რუსული კულტურით გაიჟღინთოს კავკასია რაც უფრო მეტის კულტურულის ძაფებით იქნება გადაბმული კავკასია რუსეთთან, რაც უფრო მჭიდრო იქნება ეს კავშირი, მით უფრო ადვილად გაბატონდება რუსული კულტურა ადგილობრივ კულტურაზე და მით უფრო შესუსტდება ნაციონალური მოთხოვნილებანი კავკასიის ერებისა. გამაგრება, გავრცელება რუსული კულტურისა და ზოგიერთ რეფორმების შემოღება პარალელურად უნდა მიდიოდეს.

ასეთსავე მიზანს ისახავს ცენტრალური მთავრობაც. განსხვავება მხოლოდ სისტემაშია. მეფის მოადგილეს იმავ რუსულ სახელმწიფოებრივ იდეის გასამტკიცებლად სხვანაირი სისტემა აქვს, ცენტრალურ მთავრობას კი—სხვანაირი—სისტემის სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, არ შესცვლის მიზანს; იგი ყოველ შემთხვევაში ერთი და იგივე დარჩება. ამას არ უარჰყოფს თვით მეფის მოადგილეც და არ შეუძლიან არ დაინახოს ყველამ, ვინც ყურადღებით წაიკითხავს ვორონცოვ-დაშკოვის უქვეშევრდომილეს მოხსენებას.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად.** დღეს, 29 აგვისტოს, დაუვიწყარ მამულიშვილის ილიას ტრაგიკულად გარდაცვალების ექვსის წლის თავის შესრულების გამო, მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი—12 საათ.

პანაშვიდზე დასასწრებლად ქუთაისიდან ჩამოვიდნენ წარმომადგენლები: საადგილ-მამულო ბანკისა, ქალაქის გამგეობისა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებისა, ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოსი და სხვა.

პანაშვიდი გადახდილ იქმნება აგრეთვე 30 აგვისტოს წიწამურში, იმ ადგილას, სადაც ილია ვერაგულად მოჰკლეს.

**პოეტი ქალი ნინო ორბელიანი,** რომელიც „ორისტოლის“ სასტუმროში სცხოვრობს, ამ ჟამად ავად არის. ავადმყოფობის გართულებას ხელს უწყობს პოეტის ნივთიერი ხელმოკლეობა. იმედია, ქართველი საზოგადოება ავადმყოფ პოეტს დახმარებას ხელს გაუწოდებს.

**ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო.** გაფიცვა ისევ გრძელდება. გუშინდელმა დღემაც მშვიდობიანად და წესიერად ჩაიარა. გუშინ, შუადღემდე, ბრიუსელიდან, ბელგიის უსახელო საზოგადოების მთავარ გამგეობისაგან არავითარი პასუხი არ მოსულა მუშათა მოთხოვნილებებისა. ჰფიქრობენ, მოთხოვნილებათა განხილვა ბრიუსელში ისევ გრძელდება. როგორც გავიგეთ, რკინის გზის ბატალიონის ჯარის კაცთა შემწეობით ტრამვაის მოძრაობის აღდგენა მოუხერხებელი ჰხდება, რადგანაც ჯარის კაცნი ვატმანის საქმეში დახელოვნებულნი არ არიან და ეშინიანთ, ვაგონები საბოლოოდ არ დაამტვრიონ და ქუჩებზედაც რაიმე უბედურება არ დატრიალდეს. როგორც გავიგეთ, ხმოსანთა ერთს ჯგუფს აზრად აქვს, წინადადება მისცეს ქალაქის გამგეობას, ჩაერიოს საქმეში. ამ მიზნით ხმოსნების ჯგუფი ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებაზე შეკითხვას შეიტანს.

**გერმანელი მეურნენი ტფილისში.** შაბათს, 31 აგვისტოს, ტფილისს ესტუმრება 18 გერმანელი მსხვილი მეურნე პროფესორ აუხაგენის მეთაურობით. ამ მეურნეებმა უკვე მოიარეს კავკასიის სხვა და სხვა ადგილი და გაიცნეს ადგილობრივი მეურნეობა. ამ ჟამად ისინი ბათომში იმყოფებიან. ტფილისში, სხვათა შორის, დაათვალიერებენ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს: სტუმართა დასახვედრად კვირას, 1 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში შეერთებული კრება მოხდება კავკასიისა, ქართულისა და სომხურ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა საბჭოების წევრებისა. განზრახულია, კრებაზე სხვა და სხვა მოხსენება წაიკითხონ.

**თავის ჩამოხრჩობა.** 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე თოკით თავი ჩამოიხრჩო თავის ბინაზე რკინის გზის საავადმყოფოს უფროსმა ბელოკონიევმა, რომელიც საავადმყოფოს შენობაშივე სცხოვრობდა. მიზეზი არ იციან. განსვენებულს არავითარი ბარათი არ დაუტოვებია.

**მეურნეთა თათბირზე,** რომელიც დღეს დაიწყება სოფ. საგარეჯოში, გუშინ, დილით, ტფილისიდან გაემგზავრნენ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრნი, აგრონომები და კერძო მეურნენი. მათთან ერთად წავიდა მეურნეობის მცოდნე თ. თ. კრიშტაფოვიჩი, რომელსაც დიდად ეინტერესება ქართული სოფელი და მისი მეურნეობა. თათბირზე მონაწილენი ისარგებლებენ ბ-ნ კრიშტაფოვიჩის იქ ყოფნით, დაათვალიერებენ სხვა და სხვა ალაგს და შესაფერს პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას სთხოვენ.

**საბირჟო ცნობები** 28 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა, პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 75 კ., აძლევდნენ—84 მან. 40 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 65 კ. აძლევდნენ—82 მან. 35 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ. 50 კ., აძლევდნენ—79 მან. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—488 მ. 50 კ., მეორისა—362 მ. და მესამისა—316 მან.

**თავის მოკვლის განზრახვით** 26 აგვისტოს რევოლვერი დაირტყა თავში ელისაბედის ქუჩაზე (სახლი № 55) მცხოვრებმა ვასილ მელქოსძე შავერზოვმა, 19 წლისამ, რომელიც გორგიჯანოვის ბაღში პიანინოს დამკვრელად მსახურებდა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. მისი მორჩენის იმედი არა აქვთ.

გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, ქალაქის გამგეობამ და ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის მეთაურობით შიოევისეული სახლი დაწვრილებით დაათვალიერეს.

### სომეხთა ცხოვრება

სამშაბათს, 27 აგვისტოს, მოხდა დაკრძალვა სომხის უძველეს ჟურნალისტის, გაზ. „მშაკის“ თანამშრომლის და გამომცემლის ივანე სერგეის ძის ტერ-მარკოსიანისა. განსვენებულის გვამი დილის 10 საათზე გამოასვენეს თავის ბინიდან და მიასვენეს მოღნინის ეკლესიაში. გზაზე პანაშვიდი გადაიხადეს გაზ. „მშაკის“ რედაქციის წინ. დაკრძალვას დაესწრნენ: „ჰორიზონის“, „სახალხო გაზეთის“, „ზაკავკაზ. რეჩის“, „თემის“ და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და აგრეთვე დიდძალი ხალხი. დაკრძალვას დაესწრო ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი მესროპი. საფლავზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა „მშაკის“ რედაქტორმა ალ. ქალანთარმა რედაქციისა და თანამშრომელთა მხრით. განსვენებული დაკრძალეს „მშაკის“ დამაარსებელის გრიგოლ არწრუნის საფლავის გვერდით.

### საზოგადოებანი და კრებები

**წინამძღვრიანთკარის სკოლის საიუბილეო კომიტეტის კრება** 27 აგვისტოს მოხდა დროებით თავმჯდომარის ე. ო. იოსელიანის თავმჯდომარეობით (კომიტეტის თავმჯდომარე თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი ამ ჟამად ავად არის). მდივნად არჩეულ იქმნა გ. ნანუცაშვილი. პირველად კრებამ მსჯელობა იქონია სკოლის იუბილეს გადახდის დღის ამორჩევის გამო. სკოლის არსებობის 30 წლის თავი 4 სექტემბერს სრულდება და სწორედ ამ დღისთვის იყო წინად განზრახული იუბილეს გამართვა, კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ 4 სექტემბრამდე [illegible] რომ ისე ცოტა [illegible], შეუძლებელია რიგიანად მომზადება ამ იშვიათ იუბილესთვის და უკეთესი იქნება, იუბილე ცოტა გვიან გავმართოთ, მაგრამ შესაფერად მოვაწყოთ. კომიტეტმა დასასრულ დაადგინა, იუბილე 29 სექტემბერს გამართოს. ამასთანავე დაავალა თავმჯდომარეს, მოელაპარაკოს სკოლის დამაარსებელს ბ-ნ ი. ი. წინამძღვარიშვილს და დაათანხმოს იუბილეს გადადებაზე, 29 სექტემბრისთვის. კომიტეტმა ამასთანავე რამდენიმე გაითვალისწინა იუბილეს გეგმა და პროგრამა. იუბილეს დღეს, 29 სექტემბერს, დილით, წიწამურში, ილიას მოკვლის ადგილას, გადახდილ იქნება პანაშვიდი სკოლის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანის განსვენებულ პოეტის ილიას [illegible]ბლად. ამი[illegible] გაემზგავრებიან წინამძღვარიანთკარის სკოლაში, სადაც პარაკლისის გადახდის შემდეგ გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო დილა, რომელსაც წარმოდგენა მოჰყვება. დასასრულ მილოცვები იქნება. იუბილეში მონაწილენი დაწვრილებით დაათვალიერებენ როგორც სკოლას, ისე მის მეურნეობას.

### სასწავლებლებში

**ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში** მისაღები ეგზამენები 26 აგვისტოს დასრულდა. ეგზამენს 150 კაცი იჭერდა. მიიღეს 54 კაცი. 19 ბავშვი, რომელმაც ეგზამენი კარგად დაიჭირა, კანდიდატებად ჩარიცხეს.

### გორი

ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, **დიდებულ ილიას ვერაგულად მოკვლის მეექვსე წლის თავზე,** ადგილობრივ საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ მგოსნის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება შუადღის თორმეტ საათზე.

## ღიური

### თავისუფალი ერთობა.

ყველა გაზეთში დაიბეჭდა მეფის მოადგილის მოხსენება კავკასიის შესახებ. ზოგიერთებმა ცალკე წერილები უძღვნეს მოხსენებას; არ დასტოვა უყურადღებოდ ადგილობრივმა რუსულმა „გოლოს კავკაზა“-მ — რუსის ნაციონალისტების ორგანომ და მოადგილეს... არ მოუწონა განზრახული ზომიერი რეფორმების განხორციელება. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ მოხსენება რამდენსამე გონივრულს რჩევას აძლევს უმაღლეს მთავრობას და მათ შესრულებას მოითხოვს არა მარტო ადგილობრივი საჭიროება, არამედ ღრმა სახელმწიფოებრივი ინტერესი. ჩვენებურს რუსის ნაციონალისტებს სამწუხაროდ აკლიათ სწვდენა ამ ფართო ინტერესისა და ყოველ, სულ უბრალო რეფორმის განხორციელებიდან განსაცდელს და ხიფათს მოელიან რუსეთისათვის. ამიტომ აფრთხილებენ მოადგილეს, ფეხს წინ ნუ გადადგამთ, სახეირო არა გამოვა რაო.

ჩვენ არ გვეოცა ასეთი გაფრთხილების წადილი. ეს პრინციპიალურ, შეხედულობა და შეცდომაა „გოლოს კავკაზა“-ს და მისთანებისა. ისინი აღიარებენ მხოლოდ თავის თავს, ერთს გაბატონებულს ერს და სხვებს, კერძოდ კავკასიის ერებს, და მათ შორის ჩვენ, ქართველებს, აღარ გვცნობენ ადამიანებად; ქართველი ერი მათთვის არაა უფლება და ღირ-

## შვეიცარია

(შემდეგი *)

როგორც ერთმა ევროპიულად განათლებულმა ქართველმა მწერალმა შენიშნა, ჩვენ ეხლა ყველაზედ მეტად პიროვნების კულტურა გვაკლია. ამით აიხსნება რომ ჩვენ არც საზოგადოებრივი ცხოვრება გვაქვს ამ სიტყვის ევროპიული მნიშვნელობით. ადამიანი ადამიანს მაშინ ეძებს, როცა იმედი აქვს, რომ ის მასში რასმე ახალს, თავისებურს, განცალკევებულს ჰპოვებს. სადაც ფსიხიური დიფერენციაცია არ არსებობს ან მხოლოდ ჩანასახში იმყოფება, იქ ადამიანები მხოლოდ ყოველდღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იკრიფებიან ან საუკეთესო შემთხვევაში „კლუბში“ დროს გასატარებლად. ნამდვილი ე. ი. გონებრივი ინტერესით გამსჭვალული საზოგადოება მხოლოდ იქ არსებობს, სადაც ნამდვილი ე. ი. ინდივიდუალურად ჩამოყალიბებული პიროვნება არსებობს, ამ აზრის საუკეთესო ილიუსტრაციას საფრანგეთი წარმოადგენს, მაგრამ უკან ჩამორჩენილი არც შვეიცარიაა.

ევროპიელი ძლიერ თავდაჭერილია გრძნობის გამოხატვაში და ამიტომ ის ზერელე მეთვალყურეს გულცივ ადამიანად ეჩვენება. სინამდვილეში კი ეს გარემოება მაღალი კულტურის მაჩვენებელია. რამდენადაც ნაკლებ განვითარებულია პიროვნება მით უფრო ნაკლებ ჰფარავს ის თავის საკუთარს სიხარულს და მწუხარებას. ევროპიელი მიცვალებულს ხმამაღლა არ დასტირის, სახეს არ იხოკავს, თმას არ იგლეჯს, მაგრამ სამაგიეროდ ის მისთვის ჰქმნის ჭეშმარიტს კულტს, რომელშიც მისი პოეტობის გრძნობა იხატება. შვეიცარიაში (კიდევ უფრო იტალიაში და საფრანგეთში) ზოგიერთი სასაფლაო წარმტაცი ხელოვნების ნაწარმოებს წარმოადგენს, სევდის ბაღნარის და მელანქოლიური ქანდაკების შეერთებას. კვირაობით აქ მოდიან უკანდარჩენილნი, რათა ცოცხალი ვარდით თუ მიხაკით სალამი გაუგზავნონ განშორებულთ. ამგვარად ხელოვნების და ყვავილების შემწეობით შემაერთებელი ხიდი იდება იმ უფსკრულზე, რომელსაც სიკვდილი სთხრის. ესაა ერთი უძლიერესი გამოხატულება სოციალური გრძნობისა.

ამ გრძნობის სიცხოველეს არა ნაკლებ მოწმობს ის მზრუნველობა, მთავრობა და საზოგადოება რომ იჩენს ღარიბებისა, უძლურებისა და ავადმყოფებისადმი. შვეიცარიაში განსაკუთრებით ძლიერ სულიერი ავადმყოფობანია გავრცელებული. როგორც სხვაგან ევროპაში ისე აქაც ნერვების აშლილობას იწვევს თანამედროვე ცხოვრების აჩქარებული ტემპი, ეკონომიური ციებცხელება. დიდი ქალაქების მოშხამული ატმოსფერო, ვენერიული ავადმყოფობანი და ალკოჰოლი. ეს უკანასკნელი ყოველგან დიდს ხმარებაშია, სკანდინავიის ქვეყნების გარდა. კერძოდ შვეიცარიაში ყველა ამას ზედ ერთვის სპეციალური სიმტერის გავრცელება, რომელსაც ყოველმხრივ შემოზღუდულ მთის კალთებზე ცხოვრება უნდა იწვევდეს. ამ სულიერ ავადმყოფთათვის თვითეულს კანტონს აქვს სამკურნალო, რომელიც თავისი ჰიგიენური მოწყობილობით, ბაღნარებით, ყვავილნარებით და ბაღჩებით სანატორიუმს უფრო წააგავს ვიდრე ჩვენებურს „საგიჟეთს“. ავადმყოფებს უმართავენ დღესასწაულებს, მუსიკალურ საღამოებს, წარმოდგენებს. ასეთი დაწესებულება დიდს ხარჯს ითხოვს და ეს ხარჯი უმეტეს ნაწილად თვით საზოგადოებას და კანტონის მთავრობას აწევს მხრებზე.

ზოგიერთი, ნიცშეს იდეებით გამსჭვალული მოღვაწეები სოციალური გრძნობის ასეთს ჰიპერტროფიაში არანორმალურ მოვლენას ჰხედავენ. „ძლიერთა უფლების“ სახელით ისინი პროტესტს აცხადებენ სუსტთა და უვარგისთა გადაჭარბებული მფარველობის წინააღმდეგ. მათი აზრით უკეთესი იქნება, რომ სახელმწიფო და საზოგადოება მეტის ყურადღებით მოეპყრობოდეს ჯანსაღთ და ნიჭიერთ, რომელნიც ხშირად იღუპებიან მატერიალური უსახსრობის გამო.

კერძოდ შვეიცარიაში ასეთი პროტესტი არაა სამართლიანი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ ახალგაზრდას გზა გახსნილი აქვს, თუ კი მას ხალისი და ნიჭი შესწევს უმაღლესი კულტურის შესაძენად. პირველდაწყებითი სწავლა უფასო და სავალდებულოა: ის გრძელდება რვა წელიწადს და ბავშვს აძლევს არა მარტო საზოგადო ცოდნას, არამედ ტეხნიკურ და ესტეტიურ ნიჭთა და ფიზიკურ ძალთა განვითარებასაც. სახალხო სკოლა პირდაპირ სანიმუშოდ არის დაყენებული: მისი ზრუნვა იქით არის მიპყრობილი, რომ საზოგადოებას ჯანსაღი, დამოუკიდებელი და ეთიურად ფაქიზი პიროვნება მისცეს. სამშობლოს შესწავლას, გალობას, ხატვას, მუშაითობას უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს დათმობილი.

უფასოა სწავლა საშუალო კანტონალურ სასწავლებლებშიც. ღარიბებს მთავრობა დახმარებას აძლევს. უმაღლესი განათლება თუმცა ფასიანია, მაგრამ სტიპენდიების და ქველმოქმედების წყალობით უნივერსიტეტის კარებიც საკმაოდ ფართედ არის გაღებული შეუძლოთათვის. შვეიცარიაში შვიდი უნივერსიტეტი არსებობს (ოთხი ფრანგული, სამი გერმანული) და ერთი საუცხოოდ დაყენებული ტეხნიკური უმაღლესი სასწავლებელი (ციურიხში). გიმნაზიების რიცხვი შედარებით ცოტაა, სამაგიეროდ ბევრია ტეხნიკური და აგრონომიული სკოლები. ეს იმით აიხსნება, რომ როგორც მრეწველობა ისე მეურნეობა და საქონლის მოშენება უმაღლეს წერტილამდეა განვითარებული, და ქვეყანა სპეციალური ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს ითხოვს.

მიწათმოქმედებას მისდევს მცხოვრებთა ერთს მესამედზე ცოტა მეტი. დაბლობებში, [illegible] მევენახეობა სჭარბობს, ხოლო მაღლობებში, ალპების ფერდობებზე, საქონლის მოშენება. საქონელი საუკეთესო ჯიშისაა და რძის პროდუქტების ინდუსტრიას ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს ხალხის მეურნეობაში.

საზოგადოდ შვეიცარია უფრო სამრეწველო ქვეყანაა, ვიდრე სამეურნეო, თუმცა მას საკუთარი ქვანახშირი არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ის მდიდარია ჩქარი მდინარეებით, ჩანჩქერებით და ჩაქუხებით, რომელნიც საკმაო ელექტრონის ძალას იძლევიან. რადგან მრეწველობა ელექტრონის ძალის ექსპლოატაციასთან არის შეკავშირებული, ამიტომ ის აქ უფრო დაქსაქსულია, ვიდრე სხვაგან ევროპაში. შვეიცარიაში ერთად-ერთი დიდი ინდუსტრიალური ქალაქი არსებობს, სახელდობრ ციურიხი: სხვა სამრეწველო ცენტრები პატარა ქალაქები, დაბები და სოფლებია. ერთი ასეთი სოფელი, ლოდეფონი, სადაც მესაათეობა ჰყვავის, თორმეტ-ათასამდე მცხოვრებს შეიცავს: მას აქვს საკუთარი თეატრი, კაზინო, გიმნაზია, საათის მკეთებელთა სკოლა და ბევრი მშვენიერი საზოგადო და კერძო შენობა: ასეთი მდიდარი ინდუსტრიალური სოფლები განსაკუთრებით ბევრია ნეიშატელის, ბაზელის და ციურიხის კანტონში.

შვეიცარიის წარმოებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ბამბის და მატყლის დამუშავებას (ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კანტონები), შემდეგ მანქანების კეთებას, აბრეშუმის ინდუსტრიას (ციურიხის კანტონი), მესაათეობას (იურას მთებში), ოქრომჭედლობას (ჟენევაში), შოკოლადის დამზადებას (ბერნი), ლუდის გამოხდას და სხ. ეს მრეწველობა ერთად 700.000 კაცს და ქალს აძლევს სამუშაოს.

მიწადმოქმედებას, საქონლის მოშენებას და მრეწველობას გვერდში უდგას განვითარებული ვაჭრობა: 1912 წ. შვეიცარიამ საზღვარ-გარედ გაიტანა თითქმის მილიარდნახევარი ფრანკის საქონელი (უმეტეს ნაწილად ფაბრიკატები და რძის პროდუქტები), ხოლო შემოიტანა თითქმის ორი მილიარდისა (უმეტეს ნაწილად ხორბლეულობა და დაუმუშავებელი მასალა).

—

საზოგადოებრივი გრძნობის სიძლიერე არსად არ იხატება ისე აშკარად, როგორც იმ კავშირებში ევროპიელები რომ აარსებენ ლიტერატურული, მუსიკალური ან მეცნიერული მიზნებისთვის. გერმანიაში ყოველ ქალაქში არსებობს „გოეტეს ფერაინი“, „ვაგნერის ფერაინი“ ან სხვა რაიმე საზოგადოება, რომლის წევრები ყოველ კვირაში იკრიბებიან, ჰმართავენ კონცერტებს, რეფერატებს, გასართობ საღამოებს და სხ.

შვეიცარიაში ასეთი კავშირების რიცხვი უთვალავია. მარტო „მომღერალთ ფერაინს“ ასორმოცდაათი სექცია აქვს და თერთმეტი ათასი წევრი ჰყავს. ძლიერ გავრცელებულია აგრეთვე ბუნების მეტყველთა, ბუნების მოყვარულთა, ბუნების დამცველთა საზოგადოებანი. ამ უკანასკნელის შვეიცარიის ერთ უმშვენიერეს კუთხეში—ენგადინში 99 წლის ვადით იჯარით აღებული აქვს ასი ოთხკუთხი კილომეტრი მიწა: ამ ტერიტორიაზე აკრძალულია თოფის გასროლა, თევზაობა, ცულის ხმარება; ის წარმოადგენს ეროვნულს საკუთრებას, სადაც ადამიანს შეუძლიან დასტკბეს ველური რომანტიკით და ხელუხლებელ ბუნების მიმზიდველობით.

მაგრამ ყველაზედ ძლიერი და მრავალოცხოვანი „ტურნ-ფერაინები“ (სამუშაითო კავშირები) და „ალპების კლუბია“: პირველთ ყოველ ქალაქსა და მოზრდილს დაბაში აქვთ სავარჯიშო შენობა, ეზო, საცურაო ადგილი და სხ. დროგამოშვებით ისინი ჰმართავენ დღესასწაულებს, სადაც სხვადასხვა ქალაქის ან სექციის წარმომადგენელნი ერთმანეთს ეჯიბრებიან ბურთაობაში, ჭიდაობაში, ცურაობაში და მუშაითობაში. ასეთი დღესასწაულები ძლიერ ხშირია, ალპების მწვერვალების და ხალხის საყვარელ სანახაობას წარმოადგენს: მართლაც მეტის მეტად სასიამოვნოა ამ ჯანსაღ, ელასტიურ, ნახევრად ტიტველ, მზის სხივებში გახვეულ სხეულთა ვარჯიშობა*)

„ალპების კლუბის“ მიზანს კი სამშობლოს ბუნების გაცნობა შეადგენს. მას ჰყავს თორმეტი ათასი წევრი და ალპების სხვადასხვა მწვერვალზე სამოცდაათზე მეტი ქოხი აქვს, სადაც მოგზაურს ღამის გათევა შეუძლიან. შვეიცარიელების ფიზიკურად და სულიერად გამრთელებაში და მათს ესთეტიურს აღზრდაში ამ კლუბსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ამ კავშირების გვერდით ხალხს შეუნარჩუნებია ძველი ჩვეულებები და უქმეები, რომელნიც აკმაყოფილებენ მის მოთხოვნილებებს გართობისა და დროსგატარებისა. ყველაზედ მნიშვნელოვანი ამ უქმეებში პირველი აგვისტოა, როდესაც ხალხი ილუმინაციით, სიმღერით, მუსიკით და ცეკვა-თამაშით იხსენიებს თავის ისტორიის უდიდეს დღეს—პირველ კანტონების შეფიცვას და ფედერაციის დაარსებას. ამას გარდა დაბლობებში არსებობს ვაზის დღესასწაული, ძველ ისტორიულ ტანისამოსში გამოწყობილ მევენახეების პროცესსია, ხელოვნების დღესასწაული, მკის დღესასწაული, მთვარიანი ღამის მგზავრობა და სხ., ხოლო მაღლობებში „სამარხვო ღამის ცეცხლის ანთება“, „ყინულის დღესასწაული“ და სხ.

**გერონტი ქიქოძე.**

(დასასრული იქნება)

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 979.

*) სამწუხაროდ ჩვენში ამ ბოლო დროს თითქმის სრულიად მოისპო ბურთაობის და ჭიდაობის დღესასწაულები.

...მოსილი პიროვნება, რომელიც ...ის ცხოვრების საგანს საკუთარს ...ბაში ჰპოვებს; მათის შეხედულებით, ქართველი ერი იმდენად საინტერესო, ფასდადებული, იმდენადაც იგი სხვისი საფეხურია, ...ისი მასალაა, სხვისი საქმეა. აი ...ბოძი მათის მსოფლმხედველობა, პოლიტიკური რწმენისა და, რაც ...ვირველია, ვინც ამგვარ ნიადაგზე ...ას, ის ჩვენთან ვერავითარ მეგობრულს ურთიერთობას ვერ დაამყარებს.

...ფის მოადგილე აცხადებს: ქართველები თხოულობენ თავის ეროვნული თავისებურობის დაცვას საქმეწიფოებრივ ხასიათის ადგილობრივ დაწესებულებებში, თხოულობენ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას და სხ., და მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ თხოვნათაო. „გოლოს კავკაზა"-ს ...ის საგონებელში აგდებს მოადგილის განცხადება და ერთის მხრით ...ა დაამტკიცოს, ქართველების ...ის არაფერი გვშურს, ილოცონ ...სწიროს თავიანთ ენაზე, უყვართ თავიანთი კულტურა, მაგრამ ...რეს მხრით სჭირდება: არ უნდა დავიწყოთ, რომ მათი კულტურა ...ბალი ღირსებისაა და ჩვენ ვერ ...ვქვეითდებით მათ კულტურამდე...

## შიოევისეული სახლის ბედი

27 აგვისტოს ქალაქის გამგეობისა, ქალაქის საბჭოს საფინანსო, სატეხნიკო და სამეურნეო კომისიის წევრთა შეერთებული კრება მოხდა. კრებამ მოისმინა მეტად ვრცელი მოხსენება ქალაქის გამგეობისა შიოევისეულ სახლის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: შიოევისეულ სახლზე მესამე სართულის დადგმის საკითხი პირველად აღიძრა 1898 წელს, მაგრამ ამ აზრის განხორციელება შეუძლებლად იქნა აღიარებული, რადგანაც შენობა მესამე სართულს ვერ დაიჭერსო. ამის შემდეგ თვით „კრუჟოკ"-მა ინჟინერტეხნიკოსთაგან შეადგინა საგანგებო კომისია, რომელმაც შესაძლოდ სცნო სახლზე მესამე სართულის დადგმა. კომისიის თავმჯდომარედ იყო საგუბერნიო ინჟინერი, „კრუჟოკ"-ის მამასახლისი კ. ე. ანტონოვი. ამის შემდეგ „კრუჟოკ"-მა ხელ-ახლა აღძრა 1911 წელს ეს საკითხი ქალაქის გამგეობაში, რომელმაც 1912 წლის დასაწყისში საფინანსო და სატეხნიკო კომისიასთან ერთად კიდევ განიხილა საკითხი და კვლავ შეუძლებლად იცნო მესამე სართულის დადგმა...

...ბუქად ამოიოხრა. გაფთრებული ძალლი ძლივს გააშორა მწყემსმა, რომელიც მგზავრისაკენ გამოეშურა.

— გამარჯვება!

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს!

— რაისთვის გარჯილხარ!

— ოხხარი მინდა გავიკეთო!..

მწყემსი დაჰპირდა მგზავრს, ყველას შევატყობინებო და გასწია. მგზავრი კი შეუდგა სამზადისს: ხურჯინიდან ამოიღო ღვინო, პურები და სხვა საგზალი. სადილობისას შეიკრიბნენ მეცხვარეები, მოუსხდნენ სუფრას, დალოცეს ერთმანეთი, დალოცეს მგზავრი შემდეგ ყოველმა მათგანმა უთხრა მგზავრს: შემომიწირავს ამდენი და ამდენი ცხვარიო. ასე რომ, ბოლო დროს მგზავრს მთელი ფარა შეუგროვდა; იგი თვით შეძლებული მეცხვარე გახდა, ასეთი ჩვეულება იყო ძველად საქართველოში; ამ ჩვეულებას ოხხარს ეძახიან. განა მარტო აქ, ყველაფერში იცოდნენ ოხხარი. მაგალითად, თუ ვისმე სოფლის მცხოვრებს სახლი არა ჰქონდა და ოხხარით მოინდომებდა აშენებას, ასევე მოიქცეოდა და ყოველი მეზობელი თუ მოყვარე სოფლელი შესწირავდა მას ხე-ტყეს, ან სხვა რაიმე მასალას...

...პატიურ საქმეს ყურადღებით არ მოეკიდოს. მაგრამ იმ სახით პატივისცემა, რომელიც თქვენს გაზეთში გამოითქვა, რომ აშენდეს საბურთალოზე გელათის მაგვარი გეგმის ეკლესია და დაიხარჯოს აუარებელი ფული და ენერგია, ჩემის შეხედულებით შემცდარ აზრად მიმაჩნია და აი რატომ: იყო დრო როდესაც ქართველი ხალხის ისტორიაში ეკლესიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და როგორც ასეთს, ქართველი ხალხი გულ-მოდგინედ მოეკიდა და მიახწია კიდეც მიზანს მით, რომ მოჰფინა საქართველოს ყოველი კუთხე აუარებელი მონასტრით და ეკლესიით; ეს აღფრთოვანების დროც, როგორც აუცილებელი რამ, ისტორიას ჩაჰბარდა.

ახლა კი, ბატონებო, სულ სხვა დროში ვცხოვრობთ და ისედაც ძველ-ტყავებულსა და ცარიელი ჯიბის მქონე ქართველის ყოველივე კაპეიკს ანგარიში უნდა გაუწიოთ და წინდაწინ განუსაზღვრელად არ ვხარჯოთ. ან და რა უზრუნველ საყოფს საბუთს გვაძლევთ, რომ ავაშენებთ ეკლესიას და არ გაივლის სულ ცოტა ხანი, რომ ეკლესიის საპოლიტიკო მიზნისთვის არ გამოიყენებენ, არ განდევნიან იქიდან ქართულს ენას...

ბოტანიკური ლექსიკონი რაფ. ერისთავისა 180,

5) ამბროსი ნეკრესელის სიტყვანი და მოძღვრებანი 15,

6) ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი გ. ავალიშვილისა 495,

7) ქართული გალობა 421,

8) ორი სიტყვა ეპ. ლეონიდისა ერეკლეს გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო 190,

9) Завѣщаніе царя Давида Возобнов. თ. ჟორდანიასი 97.

10) მასივე ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა 77.

ძველად დაბეჭდილ წიგნების უმეტესი ნაწილი სასულიერო მონასტრისაა. საეროთაგანაც გვხვდებიან ფასიანი გამოცემები: 1) ბუტკოვისა (სამივე წიგნი), 2) ბროკგაუზის და ეფრონის ლექსიკონი (15 ტომი=30 წიგნი), 3) ტოლლისა ლექსიკონი, 4) სლავურ-რუსული ვრცელი ლექსიკონი, 5) რუსულ-ქართული ლექსიკონი ნიკოლოზ ოქროპირიძისა, შედგენილი 1866 წელს (ხელნაწერია), 6) რუსულ-ქართულ-აფხაზური ლექსიკონი (ბოლოში აწერია: აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი კანდიდატი იერომონაზონი ალექსანდრე), 7) ქრისტეფორე კეჟერაშვილის ზედამხედველობით 1791 წლის გამოცემული...

...სანდრეს შეუსრულდა 25 წელიწადი სამსახურისა და 50 იუბილეის (დადიანით ივბილიონის) გამო დაწერილია თვით ეს წერილიც ნ. დადიანისა.

ყოველი აღნუსხული იძლევა მდიდარ მასალას ღვთივ - განსვენებულ ეპისკოპოზის ალექსანდრეს მდიდარ და ნაყოფიერ ცხოვრების აღსაწერად.

მ. ჯანაშვილი.

## მოწერილი ამბები

საინგილო. სამინელს ძდგომარეობაშია დღეს საინგილო. აგერ სრულ სამას თვეზე მეტია პაპანაქება სიცხეები სდგას გაუთავებელი და დაუსრულებელი. ყოველ-დღე დილიდანვე ძოკიდებული გავარვარებულ თონესებური სიცხეები იწყება და ისეთი ბუღი ედება ყველგან, რომ ადამიანს ეგონება გაუთავებელ ცეცხლის ბოლს მოუცავს მთელი საინგილო და ჩანთქმას უპირებსო.

მოწყენილად გამოიყურება საინგილოს ტურფა ველ-მინდორი, ხეები ნახევრად გადამხმარია, ფოთლები სცვივა და შემოდგომის სურათი თვალწინ გვშლებათ; გაუთავებელ კაკლის ხეივნებს, რომელნიც საყვარლად მისდევენ გზებს საინგილოში, თავის ელფერი და სიკეკლუცე დაუკარგავთ, ნახევრად გატიტვლებულან...

## შიმშილობის მოლოდინში

## ალექსანდრე ეპისკოპოზის საწიგნე

## თამარის ხსოვნის აღსანიშნავად

## ნიკოლოზ ჯანდიერისძე

„Я памятник воздвиг себѣ нерукотворный,
К нему не зарастеть народная тропа."
А. Пушкинъ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**28 აგვისტო.**

## უცხოეთი.

**ბელგრადი.** სერბიისა და ჩერნოგორიის შორის მოლაპარაკება დროებით შესწყდა. სერბიამ მოისურვა ჩერნოგორიის სურვილის დაკმაყოფილება და ამიტომ მაქსიმალურ მოთხოვნილებაზე დასთანხმდა. სერბია მზად არის დაუთმოს დიაკოვო და იპეკი მდინარით სათავემდე.

**პლევლე.** სერბიელები ახალ დათმობას აღარ მოისურვებენ.

**რომი.** სტეფანის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ, რომ საბერძნეთის მთავრობას გუშინ წარუდგინეს დიდი სახელმწიფოების კოლლექტიური ნოტა, რომელშიაც მოყვანილია ლონდონის თათბირის გადაწყვეტილება ალბანეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების შესახებ.

**სტამბოლი.** დიდი ვეზირის თავმჯდომარეობით მინისტრთა სხდომა მოხდა. სხდომას დაესწრნენ ოტომანის დელეგატები და ადრიანოპოლიდან ჩამოსული ენვერ-ბეი. საღამოთი ოტომანისა და ბულგარეთის დელეგატების კერძო თათბირი მოხდება, რომელსაც ოსმალეთის პირობებს გააცნობენ მომავალ საზღვრის შესახებ.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა სამინისტროში ოსმალეთ-ბულგარეთის კონფერენციის პირველი სხდომა მოხდა. დიდმა ვეზირმა სურვილი გამოსთქვა, რომ მოლაპარაკებას სასურველი შედეგები მოჰყვეს. სავოვმა საპასუხო სიტყვაში ამისავე იმედი გამოსთქვა. მომავალ საზღვრების შესახებ აზრების გაზიარება მოხდა. მომავალი კრება ხუთშაბათს მოხდება. ჯერ-ჯერობით ოსმალეთის დელეგატებს შორის კერძო თათბირები ხდება.

**სტამბოლი.** კრეისერი „ჰამიდიე" მოვიდა. მას ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს. მიეგებნენ სულთანი, მთავრობა და ხალხი.

**თეირანი.** სტუდენტ-ღვთისმეტყველთა საერთო ბინაზე ჩხუბი მოხდა. ერთი მოკლულია, მკვლელი ქალაქიდან გაიქცა.

საღამოს დანიშნულია დემოკრატიული პარტიების კრება მეჯლისში არჩევნების საკითხის გამო. კრებაზე 500 კაცამდეა მოწვეული.

**ლონდონი.** ლიურის გემის ფოსტაში აფეთქება მოხდა და შენობას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლში კორესპონდენცია სრულიად განადგურდა ეჭვი აქვთ, რომ ეს საქმე სუფრაჟისტკების მიერ არის ჩადენილი ტრაფალგრ-სკვერში მუშების მიტინგი მოხდა, რომელმაც დუბლინში პოლიციის ძალმომრეობითი მოქმედების საწინააღმდეგო პროტესტი გამოსთქვა და ლორდ ებერდინის სამსახურიდან გადადგომა მოითხოვა.

**მადრიდი.** უკანასკნელი ცნობებით 25 აგვისტოს ტეტუანთან მომხდარ შეტაკების დროს ესპანელებს ცხრა კაცი მოუკლეს.

**ბილბაო.** დონ-ხაიმეს პარტიის წევრების რესპუბლიკელებთან შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა პოლიციელი, მსუბუქად რამდენიმე კაცი.

**ტოკიო.** ხმები დადის, რომ ნანკინის დესანტის გასაძლიერებლათ ნაგასაკში მეზღვაურები გაჰგზავნესო. სასაზოში გასამგზავრებლად 5 საომარი გემია დამზადებული. ხანკოუს გარნიზონის გამოსაცვლელად ამ დღეებში მიდის ხმელეთის ჯარის ბატალიონი და ოთხი საპულემიოტო როტა მე-18 დივიზიისა.

მთავრობ გემებს ქირაობს. ჩინეთში ჯარების გაგზავნას ელიან.

**ტოკიო.** მიუხედავად აკრძალვისა, ხიბიას პარკში 30,000 კაცის მიტინგი შეიკრიბა. გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ ხალხი ჩინეთში ჯარის გაგზავნას ითხოვს. მიტინგის ნაწილი გარეშე საქმეთა სამინისტროსაკენ გაემართა, სადაც დემონსტრაცია მოახდინა და მაკინო მოითხოვა. რადგანაც ის შინ არ იყო, პრემიერის ბინისაკენ გაემართნენ და მას ღამის 3 საათამდე ელოდნენ. შეტაკება არ მომხდარა.

**ტოკიო.** პირველმა მინისტრმა „ჩინეთის შესწავლის საზოგადოების" დეპუტატებს განუცხადა, რომ ნანკინის საქმის გამო მთავრობამ გამოძიება დანიშნა და ჯერ მოლაპარაკებას არ შესდგომია. მანჯურია-მონღოლიის საკითხის გადაწყვეტა მთავრობას ჯერ უადგილოდ მიაჩნია.

აბეს მოკვლის გამო ორი დაატუსაღეს.

შანჰაიდან ხუანსინი ჩამოვიდა.

**პეკინი.** ნანკინში მომხდარ ინციდენტის გამო ადგილობრივმა იაპონიის მისიამ თავის მთავრობას ინსტრუქციები მოსთხოვა, და მის მიღებამდე ჩინეთის მთავრობას აცნობა ფაქტები და აგრეთვე აცნობა, რომ იაპონიის შეხედულება ამის შესახებ დამატებით იქნება ცნობილიო. მდგომარეობა სერიოზულად უნდა ჩაითვალოს.

**ვაშინგტონი.** სენატმა კვლავ გააუქმა საბაჟო გადასახადი საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ წიგნებზე.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** დააკავეს გაზეთი „ჟივაია მისლის" მეოთხე ნომერი, აგრეთვე ჟურნალ „პროსვეშჩენიეს" მე-7 და მე-8 ნომრები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეიტანა საკანონმდებლო დაწესებულებებში შესატანი კანონ-პროექტი საპენსიო შეღავათების შესახებ მთავრობის მეითლებისა და ფერშლებისა იმ მოსამსახურეთა ოჯახებისათვის, რომელნიც დაიხოცნენ სამსახურის აღსრულების დროს ავადმყოფობისაგან, რომელიც ცხოველებისაგან გადაედოთ.

**მოსკოვი.** დაიკავეს „რაბოჩაია გაზეტა"-ს და „ნაშ ტრუდ"-ის პირველი ნომერი, აგრეთვე ჟურნალ „ჟიზნ"-ის მე-34 ნომრები.

საფრანგეთის ელჩისა და ფრანგების კოლონიის წევრთა თანადასწრებით აკურთხეს ძეგლი იმ ფრანგ ჯარის-კაცთა სამახსოვროდ, რომელნიც 1812 წელს ბოროდინოს ველზე დაიხოცნენ.

**ნოვოჩერკასკი.** თავად-აზნაურობის საკრებულოში დაიწვა არხივი, სადაც მოთავსებული იყო ძვირფასი ისტორიული საბუთები და გრამატები.

**ოდესა.** ნავთსადგურში მუშებისა და მტვირთველების გაფიცვა გათავდა. მუშაობა წინანდელ პირობებში განახლდა. აგიტაციისათვის დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეს.

**სევასტოპოლი.** ღელვის გამო ნავთსადგურებთან დამოკიდებულება შესწყდა. ევპატორიასთან რამდენიმე გემი დაიღუპა.

პორუჩიკი ტრუეინინი ნიუპორტის მანქანაზე ფრენის დროს ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე.**


# განცხადებანი

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ფეხსაცმელები თომა დ. ჯანუარაშვილის** მაღაზია სახელოსნოში, მუხრანის ქ. № 2. ყოველნაირი: საკუთარი დ პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 527



**საზურთალოზე**

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

# ექიმთა-ამხანაგობის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფებს მიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნაცვალაძე:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავალიშვილი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნაცვალაძე.** 1004

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

# თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

## სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებლში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.** მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძლიერ დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413

# სნეულებს სპერმინ-პელია!

სპერმინ-პელიათი მსარგებელ ავადმყოფებს ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით თესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ დასასაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და შრომანი, რომელთაც **თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობადა ვსთვლით, გავაფრთხილოდ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **საერთო არა აქვთ რა „სპერმინ-პელიასთან** და ხშირად შეიცავენ ჯანსაღობისათვის მავნე ნივთიერებას.

ბრძოლაში: **ნევრასტენიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭრბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიო სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან** და **სხვ.**, მხოლოდ **სპერმინ-პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი და მკურნალნი.

საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე **„სპერმინ-პელია"** და უკუჰყაროთ ყოველგვარი სიყალბე და სითხეები სხვა და სხვა სახელებით, რომელთა მავნებლობაზე ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ „**სპერმინს**" ახალ ლიტერატურასთან ერთად.

**„სპერმინ-პელია" იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.**

ორგანოთერაპევტის ინსტიტუტი **პროფეს. ექიმი „პელი და შვ-ბი".**

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის **სასახლის კარის მოვაჭრე.**

Метцль. 69730. **ს.-პეტერბურგი.** 1188

## საბუღალტრო კურსები

# გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

**ოქროს მედალი** **ოქროს მედალი**




# შ პ ა ლ ი ე რ ი

**მოსკოვის საქარხნო საწყობისა**

**GRAND-PRIX ვლადიმერ ალპატოვისა**

ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

# საბუღალტერიო და საკანცელარიო ცოდნათა კურსები,

**არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის** (მე-XIV წ. არს. შემ.).

კურსებზე ასწავლიან: ბუღალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა და სხვა ნაწილის შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფიას და მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭვდას, **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, საღამოობით. **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 ს.—1 საათამდე. 1420

**ს ო რ ა პ ა ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად. მეოთხე ახალი გამოცემა, სახელმძღვანელო წიგნი, ნაწილი პირველი.

## „ქართველი მწერლები"

შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. **ფასი 80 კაპ.**

ამ წიგნის მეორე გამოცემა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებლებში სახმარებლად ნება-დართულია.

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მეორე ნაწილი სახელმძღვანელო წიგნი **„ქართველი მწერლები"** ფ. 1 მან. 30 კაპ.

პარტიობით მყიდველებს შეუძლიანთ მოითხოვონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ Типографія „Сорапанъ", ანუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას ქ. ტფილისში. 1417

**ОБЩЕСТВО „ГРАММОФОНЪ" съ ОГР. ОТВ.**

**ВЪ ЛОНДОНѢ.**

# მიღებულია

# ახალი ფირფიტები

**ცნობილ მომღერალთა სიმღერებით,**

როგორც მაგალითად:

**ბაგრატისა, გევორქ შულავერელისა, ისლამ აბდულაევისა, მეჯიდასი, ჰამიტ კურბანოვისა** და სხ.

**ახალ-ახალი!** **მგოსანი აკაკი გრამოფონში** **ახალ-ახალი!**

ყველა ჩვენ ფირფიტას აქვს ყველგან ცნობილი ნიშანი:

**„მწერავი ამური".**

**ფირფიტათა სია უფასოდ.**

ОТДѢЛЕНІЕ ДЛЯ КАВКАЗА и ЗАКАСПІЙСКАГО КРАЯ

**ТИФЛИСЪ,**

Головинскій пр., 9,

ПРОТИВЪ ВОЕННАГО СОБОРА. 1432

უფლებიანი **სავაჭრო სკოლა** უფლებიანი

## და საბუღალტერო კურსები

# ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.

მისაღები და დამატებითი გამოცდა **28 და 31 აგვისტოს.** მსაღებთა რიცხვი განსაზღვრულია (ერთ კლასში არა უმეტეს 24 შეგირდისა). მეცადინეობის დასაწყისი სკოლაში 24 სექტემბერს, კურსებზე 16 სექტემბერს. **მიხეილის პროს. № 53.** 562

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

# საკომერციო ცოდნათა კურსები

# ტ. მ. ფილოიანისა,

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, **ტელეფ. № 976.**

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულოდ: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

# მუდამ დღე მოგვდის

**თევზის მრეწველნი მმ. ძმ. ძმ. ძმ.**

**ძმ.**

# ძმებელოვები.

**ახალ-ახალი**

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** (ქიტკა).

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 7..

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**

## საბუღალტერო კურსები

# ნ. პ. აბრაამიანისა

(დაარსებულია 1896 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გარძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოთქზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე. და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.


მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".